<u>პროექტი</u>

საქართველოს ორგანული კანონი
საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ

მუხლი 1. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ადგენს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებს - საქართველოს სახელმწიფო დროშას, გერბსა და ჰიმნს.

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო დროშა

1. საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-ჰორიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნურ-კაცხური ჯვარი.

2. საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულება და სტანდარტული ზომები განისაზღვრება ამ კანონის №1 და №2 დანართებით.

მუხლი 3. საქართველოს სახელმწიფო გერბი

1. საქართველოს სახელმწიფო გერბი გამოისახება სახელმწიფო და მცირე სახელმწიფო გერბების ფორმით.

2. სახელმწიფო გერბი არის ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრის ბუნიანი ვერცხლის შუბოსანი, ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი, ვერცხლის ცხენზე ამხედრებული, ოქროს შარავანდედიანი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი; ფარი დაგვირგვინებულია ივერიული (ქართული) გვირგვინით; ფარისმტვირთველი ორი ოქროს ლომი ვაზის სტილიზებული ორნამენტის საფუძველზე დგას; საფუძველზე გადმოფენილია ვერცხლ-მეწამული სადევიზე ბაფთა (ავერსი – ვერცხლი, რევერსი – მეწამული); ბაფთის ვერცხლის ველზე სევადისფერი ქართული მხედრული ანბანით წარწერილია დევიზი: „ძალა ერთობაშია“; ბაფთაზე, სადევიზე წარწერის თავსა და ბოლოში, გამოსახულია მეწამული ჰერალდიკური ჯვრები.

3. მცირე სახელმწიფო გერბი არის ჰერალდიკური ფარი, რომლის მეწამულ ველზე გამოსახულია ოქროს ჯვრით დაბოლოებული ვერცხლის შუბით ვერცხლის გველეშაპის განმგმირავი ვერცხლის მხედარი – წმინდა გიორგი ოქროს შარავანდედით; ფარზე ივერიული (ქართული) გვირგვინია.

4. სახელმწიფო და მცირე სახელმწიფო გერბების გამოსახულებები განისაზღვრება ამ კანონის №3 დანართით.

მუხლი 4. საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი და მუსიკა განისაზღვრება ამ კანონის №4 და №5 დანართებით.

მუხლი 5. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს საქართველოს პრეზიდენტის მომდევნო არჩევნებში არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

გიორგი მარგველაშვილი